

პრესრელიზი

**„საქართველოს ბანკისა“ და ებრაული ჯგუფის დაფინანსებით, თბილისში 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო „რიქსოს თბილისი“ აშენდება**

**თბილისი, 8 სექტემბერი, 2015** – „საქართველოს ბანკმა“ და კომპანია „სითი ემმმა“ ხელი მოაწერეს 12 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სასესხო ხელშეკრულებას საქართველოში 5-ვარსკვლავიანი უმაღლესი კლასის სასტუმროს – „რიქსოს თბილისის“ ბოლო ეტაპის მოპირკეთების და მოწყობის მიზნით. „რიქსოს თბილისი“, რომლის ბიუჯეტი 35 მილიონი დოლარია, გუდიაშვილის ქ. №3-ში განთავსდება, სადაც 150 სასტუმრო ოთახი იქნება, მათ შორის, 32 ფეშენებელური ლუქსი და 500 კვ.მ-ის ფართობის საპრეზიდენტო აპარტამენტი პანორამული ლიფტით. სასტუმროში ასევე განთავსდება: საცურაო აუზი, 500 კვ.მ-ზე მოწყობილი აზიური სპა, სამი კაფე-ბარი და რესტორანი, მათ შორის, პანორამული „სქაი ბარი“, 5 საკონფერენციო დარბაზი და 1 000 კვ.მ ფართობის ფოიე, რომელიც გადაიქცევა ბიზნესშეხვედრების სივრცედაც.

5-ვარსკვლავიანი სასტუმროს – „რიქსოს თბილისის“ – მთავარი მისაღების ინტერიერზე ებრაელი, თურქი და იტალიელი ცნობილი დიზაინერები მუშაობენ. ასევე სპეციალურად „რიქსოს თბილისის“ მთავარი მისაღებისთვის კომპანია „ლასვიტის“ წამყვანი დიზაინერები ამზადებენ ექსკლუზიურ ჭადს.

**„საქართველოს ბანკის“ შესახებ:**

„საქართველოს ბანკი“ ქვეყნის წამყვანი ბანკია მთლიანი აქტივების (საბაზრო წილი: 36.9%), მთლიანი სესხებისა (საბაზრო წილი: 34.7%) და კლიენტთა დეპოზიტების (საბაზრო წილი 32.5%) მიხედვით (2015 წლის 31 მარტის მდგომარეობით, ბანკების მიერ ეროვნული ბანკისთვის მიწოდებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე; მოიცავს „პრივატბანკის“ საბაზრო წილსაც). „საქართველოს ბანკი“ მის კლიენტებს სთავაზობს კორპორატიული და საცალო საბანკო, დაგროვილი ქონების მართვის, საბროკერო, ასევე სადაზღვევო და ჯანდაცვის მომსახურების ფართო სპექტრს. 2015 წლის 31 მარტის მდგომარეობით, „საქართველოს ბანკი“ ემსახურებოდა დაახლოებით 1.5 მილიონი კლიენტის ანგარიშს 219 სერვისცენტრის, 554 ბანკომატისა და 2,245 თვითმომსახურების ტერმინალისგან შემდგარი ქსელის, ასევე დისტანციური საბანკო მომსახურების პლატფორმისა და თანამედროვე სატელეფონო ცენტრის მეშვეობით. სრული ინფორმაციისთვის იხილეთ: [www.bog.ge](http://www.bog.ge)

**„რიქსოს“-ის შესახებ:**

„რიქსოსი“ უმაღლესი სერვისის და ე.წ ლაქმერი სტანდარტის სასტუმროების საერთაშორისო ბრენდია. „რიქსოსი“ ბოლო წლებში შემოვიდა რეგიონში და აპირებს გაფართოვებას ევროპასა და ამერიკაში. „რიქსოსის“ მსოფლიო სასტუმროების ქსელს, შეემატება „რიქსოს თბილისი“, რომელიც რეგიონში ერთერთი ყველაზე მაღალი ხარისხის სასტუმრო იქნება.

მნიშვნელოვანია, რომ სასტუმროს შენობაში განთავსდება მუზეუმიც, რაც სასტუმროს კიდევ უფრო მეტ კულტურულ ღირებულებას შემატებს.

„რიქსოს თბილისის“ მშენებლობა, ძირითადად, მიმდინარეობს დახურულ და დაცულ სივრცეში, რადგან მინიმალური დისკომფორტი შეექმნას გარშემო მაცხოვრებლებს. სასტუმროს მომსახურე პერსონალის მზადება უკვე დაწყებულია. ამჟამად მშენებლობაზე 60 ადამიანია დასაქმებული, ხოლო პროექტის დასრულებისას სასტუმროში დასაქმდება 150 თანამშრომელი. სასტუმრო „რიქსოს თბილისის“ გახსნა 2016 წლის ბოლოსკენ იგეგმება.

„საქართველოს ბანკმა“, საქართველოს წამყვანმა ბანკმა, ქვეყანაში პირველმა დაიწყო სასტუმროების სექტორის დაფინანსება. 2015 წლის 31 ივნისის მდგომარეობით, სასტუმროების სექტორზე გაცემული დაფინანსების პორტფელმა 109,435,404 მლნ ლარი შეადგინა.

###

**საკონტაქტო პირი მედიისთვის:**

ხათუნა კაკაბაძე  
(0 32) 2 444 444 \*3252  
(5 99) 206 246  
[khkabadze@bog.ge](mailto:khkabadze@bog.ge)

**„საქართველოს ბანკის“ შესახებ:**

„საქართველოს ბანკი“ ქვეყნის წამყვანი ბანკია მთლიანი აქტივების (საბაზრო წილი: 36.9%), მთლიანი სესხებისა (საბაზრო წილი: 34.7%) და კლიენტთა დეპოზიტების (საბაზრო წილი 32.5%) მიხედვით (2015 წლის 31 მარტის მდგომარეობით, ბანკების მიერ ეროვნული ბანკისთვის მიწოდებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე; მოიცავს „პრივატბანკის“ საბაზრო წილსაც). „საქართველოს ბანკი“ მის კლიენტებს სთავაზობს კორპორატიული და საცალო საბანკო, დაგროვილი ქონების მართვის, საბროკერო, ასევე სადაზღვევო და ჯანდაცვის მომსახურების ფართო სპექტრს. 2015 წლის 31 მარტის მდგომარეობით, „საქართველოს ბანკი“ ემსახურებოდა დაახლოებით 1.5 მილიონი კლიენტის ანგარიშს 219 სერვისცენტრის, 554 ბანკომატისა და 2,245 თვითმომსახურების ტერმინალისგან შემდგარი ქსელის, ასევე დისტანციური საბანკო მომსახურების პლატფორმისა და თანამედროვე სატელეფონო ცენტრის მეშვეობით. სრული ინფორმაციისთვის იხილეთ: [www.bog.ge](http://www.bog.ge)

**„რიქსოს“-ის შესახებ:**

„რიქსოსი“ უმაღლესი სერვისის და ე.წ ლაქმერი სტანდარტის სასტუმროების საერთაშორისო ბრენდია. „რიქსოსი“ ბოლო წლებია შემოვიდა რეგიონში და აპირებს გაფართოვებას ევროპასა და ამერიკაში. „რიქსოსის“ მსოფლიო სასტუმროების ქსელს, შეემატება „რიქსოს თბილისი“, რომელიც რეგიონში ერთერთი ყველაზე მაღალი ხარისხის სასტუმრო იქნება.